PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „არსის“ მიერ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი
წევრი: მზია ბაკურიძე

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს „არსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II- ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის №210710 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი მზია ბაკურიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი) შპს „არსის“ განაცხადის (რეგისტრაციის №162054; განხორციელების ადგილი ქ.რუსთავი; შარტავას გამზ. №4) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადთან ერთად- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი, საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით, მოდულები, სასწავლო გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ამონაწერები საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტებიდან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, გაუმჯობესების გეგმა და სხვ.

სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის და პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპენტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2021 წ. 26 მარტს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკის და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ვერ მოხერხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და შპს „ემ-ფარმას“ წარმომადგენელთან, ასევე ვერ განხორციელდა ჩართვა აფთიაქებთან, შესაბამისად ვერ მოხერხდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი აფთიაქების ვიზუალური დათვალიერება და მატერიალური რესურსის შეფასება.

ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

<u>ვინაიდან დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო აფთიაქების ზუმში ჩართვა, ექსპერტთა მიერ ვერ მოხერხდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი აფთიაქების ვიზუალური დათვალიერება, მათი გამტარუნარიანობის და იმ მატერიალური რესურსის შეფასება, რომელიც დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებებს და საჭიროა სწავლის შედეგების მიღწევისთვის.</u>

დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1), 2.2.1(3) და 2.3.1(1) კომპონენტების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ქონდა - გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის მიხედვით გაწერილია კომპონენტების დასაკმაყოფილებელი ამოცანები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და აქტივობები, რომელიც გადანაწილებულია 2- დან 4 თვემდე, დაყოფილია 4 ნაბიჯად და თითოეული ნაბიჯისთვის გაწერილია მისაღწევი შედეგი. 2.2.1(3) კომპონენტისვის განსაზღვრულია ფინანსური უზრუნველყოფა.

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებას ამ პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოდგენილი ჰქონდა განაცხადი თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე უარის შესახებ.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

–

VII. რეკომენდაციების შეჯამება

<u>**განვითარების რეკომენდაცია**</u>

2.2.1. (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ესწრებოდა დაწესებულების მიერ „უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრთან“ ერთად ორგანიზებულ ტრენინგს - **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია/შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება“.** დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა კოლეჯში ჩატარებული ტრენინგის დასწრების ფურცელი და სხდომის ოქმი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით და მათთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია, რაც შეეხება <u>შეფასების კომპეტენციას რეკომენდირებულია გაგრძელდეს ტრენინგების კურსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებისათვის;</u>

2.2.1(7). პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს პროფესიული განათლების მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა ზოგად ხარჯს (ინვენტარის შეძენა/ გაუმჯობესების ხარჯი).

წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტურია, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ამოცანების ხარჯი, რაც მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას, კერძოდ, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატება, პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტებმა მივიჩნიეთ, რომ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და საჭიროა დაწესებულებამ რეალურად შეაფასოს ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად განსაზღვროს რენტაბელობის ზღვარი.

2.4.1.(4) პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დოკუმენტში სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებები არის შეუსაბამო, კერძოდ - „კოლეჯი "არსის" სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარში„ დაწესებულებას XVI პუნქტით გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელშიც გამოყენებულია სტრუქტურული ერთეულებისათვის დასახელებები „პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი" და „სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი" რომელიც შეუსაბამოა დაწესებულების სტრუქტურით და წესდებით გაწერილ სტრუქტურულ ერთეულებთან - „ხარისხის მართვის მენეჯერი" და „სასწავლო პროცესის მენეჯერი". რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

2.4.1.(5) პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები დათარიღებულია, თუმცა არა აქვს მინიჭებული ნომერი, სასურველია დაწესებულებამ ხელშეკრულებები დანომროს თარიღის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.1 (6). სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

1) დაწესებულებას ლაბორატორიაში არა აქვს განთავსებული ცეცხლმაქრი, უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე რეკომენდებულია დაწესებულებამ ლაბორატორიაში განათავსოს ცეცხლმაქრი.

2) დაწესებულებამ სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა **„სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის“** ორი განსხვავებული შინაარსის დანართი, ერთი თვითონ დოკუმენტის VII თავში გაწერილი **დანართი 1 - „ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და უტილიზაციის წესები კოლეჯ „არსში““** და მეორე ცალკე დოკუმენტად - „**კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესის დანართი 1 - „კოლეჯი „არსის“ ლაბორატორიაში მუშაობის წესი/ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში“**. ეს ორი დანართი აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეუძლებელია იყოს ერთი დოკუმენტის დანართი.

რეკომენდებულია დაწესებულებამ დოკუმენტები მოიყვანოს შესაბამისობაში.

2.4.2.(1). პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დოკუმენტში **„კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის“** (მე-13 ქვ.პ) აპელაციის პროცედურებში ვხვდებით ჩანაწერს **„დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე“,** რითაც დაწესებულება წინააღმდეგობაში მოდის თავისივე რეგულაციასთან, ამავე წესის IX პუნქტის 2 ქვეპუნქტით გაწერილია, რომ **„სასწავლო დავალიანება“ არის სტატუსის შეჩერების საფუძველი“,** ხოლო X

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პუნქტის პირველი ქვეპუნქტით სტატუსის შეწყვეტის საფუძველია **„სტატუსის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოუფხვრელობა“.**

რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს აღნიშნულ ჩანაწერს, ვინაიდან ერთი ან რამოდენიმე მოდულის დაუდასტურებლობა (სხვა მოდულის წინაპირობაც რომ იყოს და იწვევდეს სწავლების გაგრძელების შეუძლებლობას) ვერ გახდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, თუ არ იქნება პროფესიული სტუდენტის განცხადებით მოთხოვნილი, დაწესებულებას უფლება აქვს შეუჩეროს სტატუსი აღნიშნულ პროგრამაზე ან/და პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს ცნობა გავლილი მოდულების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy.
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში / Higher Vocational Qualification in Pharmacy
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №1-10; 24.02.2021წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	32 პროფესიული სტუდენტი; ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4 მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დოკუმენტით - **„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით“** . პროცედურის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები; სამუშაო ჯგუფის მუშაობას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი; დასამტკიცებელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.

დაწესებულების მისიაა „თანამედროვე თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით რუსთავისა და ქვემო ქართლის მასშტაბით და ამ რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე მუშაობის წარმართვა მაღალკვალიფიციური სატრენინგო- სასერთიფიკატო კურსების კუთხით“; დასესებულების სტრატეგიული გეგმით გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის მიხედვით, დაწესებულება 2017 წლიდან ავტორიზებულ რეჟიმში ახორციელებდა „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიულ პროგრამას, ჯანდაცვის მიმართულება არის კოლეჯის პრიორიტეტული მიმართულება. ასევე რეგიონის შრომის ბაზრის კვლევის და დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვებით გამოიკვეთა ფარმაცევტული პროფესიული განათლების კადრის საჭიროება და მოთხოვნა.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია დაწესებულების დოკუმენტში **„კოლეჯ “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარი“** , სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია - 32 პროფესიული სტუდენტით (2 სასწავლო წელზე - 16 პროფესიული სტუდენტი წელიწადში), დაწესებულებას დოკუმენტით **„კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარი“** (თავი III), გაწერილი აქვს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - პროგრამის ხანგრძლივობის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და ერთ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო ფართის (A, B და C გარემო) და პრაქტიკის ობიექტების მიერ პროფესიულ სტუდენტთა გამტარუნარიანობა ცვლებში. დაწესებულების მიერ სასწავლო გარემოს ფართი ერთ პროფესიულ სტუდენტზე განსაზღვრულია 1 მ2; B გარემოს შემთხვევაში ფართის მონაცემთან ერთად მხედველობაში მიიღება ერთ პროფესიულ სტუდენტზე ერთი პერსონალური კომპიუტერის/ ნოუთბუქის არსებობა; B გარემოს შემთხვევაში შესაძლებელია ჯგუფში სტუდენთა რაოდენობის ნაკადებად გაყოფა, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს B გარემოს დატვირთვის გრაფიკი.

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები ქ. რუსთავშიშემდეგ აფთიაქებთან:

1. **შპს „ემ ფარმა“** (3 ფილიალი, თანამშრომლობის ხელშეკრულება, 30.10.2020), ვალდებულებას იღებს კოლეჯის 12 პროფესიული სტუდენტისთვის (4 პროფესიული სტუდენტი - 4 საათი დღეში, სამ ფილიალში სულ 12) უზრუნველყოს შემდეგი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება /0911012/“,
- „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება /0911014/“,
- „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა /0911005/ “,
- „მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა /0911006/“,
- “ მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა /0911002/“,
- „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა /0911017/“,
- „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში /0911009/“,
- „ფარმაკოლოგია /0911024/ სწავლის მე-3 შედეგი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხელშეკრულება მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ დასადასტურებელ სწავლის შედეგებს (დანართი1) და მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს (დანართი 2), რომლითაც აფთიაქმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები სწავლის შედეგების მისაღწევად. ხელშეკრულება გაფორმებულია 6 წლის ვადით.

2. **შპს „იბერიფარმა+“** (2 ფილიალი, თანამშრომლობის ხელშეკრულება, 28.10.2020), ვალდებულებას იღებს კოლეჯის 8 პროფესიული სტუდენტისთვის (4 პროფესიული სტუდენტი 4 საათი დღეში, ორ ფილიალში სულ 8) უზრუნველყოს შემდეგი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

- „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება /0911012/“,
- „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება /0911014/“,
- „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა /0911005/ “,
- „მომხმარებლისთვის მცენარეული ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა /0911006/“,
- “ მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა /0911002/“,
- „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა /0911017/“,
- „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში /0911009/“,
- „ფარმაკოლოგია /0911024/ სწავლის მე-3 შედეგი“

ხელშეკრულება მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს (დანართი1) და მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს (დანართი 2), რომლითაც აფთიაქმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები სწავლის შედეგების მისაღწევად. ხელშეკრულება გაფორმებულია 6 წლის ვადით.

3. **შპს „ფარმაცია“** (ხელშეკრულება 22.02.2021) ვალდებულებას იღებს კოლეჯის 16 პროფესიული სტუდენტისთვის (დანართი 1-ის შესაბამისად 8+8, 4-4 საათი დღეში) უზრუნველყოს მოდულის „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში /0911021/“ პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელება- ხელშეკრულება მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა ნაკადის გადანაწილების გრაფიკს (დანართი1) და მოდულის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსს (დანართი 2), რომლითაც აფთიაქმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები შედეგების მისაღწევად. ხელშეკრულება გაფორმებულია 6 წლის ვადით.

შპს ,,იბერიფარმა+"-ის წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში სააფთიაქო ქსელს გამოყოფილი აქვს 2 ფილიალი, სადაც სწავლების პროცესს უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სპეციალურად შერჩეული აფთიაქის მენეჯერები.

შპს „ფარმაციას" წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აფთიაქში განხორციელდება ერთი მოდული და მზად არიან პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

შპს „ემ-ფარმას" წარმომადგენელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა.

ასევე ვერ მოხერხდა აფთიაქებიდან ჩართვა და ბაზის დათვალიერება.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება წარმოდგენილი აქვს „შპს „არსის" სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის" შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გადმოგზავნილი და აფთიაქებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ აღჭურვილობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი მოდული არ არის.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დოკუმენტით **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესიდა დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“,** პუნქტი 5, ა) ქვეპუნქტით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ იდენტურია ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „ფარმაცია (სააფთიაქო)“ / Pharmacy, სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 19 სასწავლო თვე (2 წელი).

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1, გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 150 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 24 სასწავლო თვე (2,5 წელი);

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით; (დამტკ.ბრძ. №1-08; 18.02.2021წ.)
- შპს „არსი“-ს მისიით;
- შპს „არსი“-ს სამოქმედო გეგმით;
- კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარით“ (დამტ. ბრძ.№1-09; 19.02.21წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით №1-10, 24.02.2021;
- „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო.

A გარემო - აუდიტორია №4 - 35 კვ.მ ფართი, 16 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამუშაოებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით. ამავე სივრცეში განთავსებულია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

B გარემო - (ოთახი №2) 15 კვ.მ ფართი, რომელშიც განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი, 9 კომპიუტერი განკუთვნილია პროფესიული სტუდენტისათვის ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნულ ფართს იყენებენ „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებშიც და მათივე განმარტებით B სასწავლო გარემოში სწავლება განხორციელდება 2 ჯგუფად. დაწესებულებას გააჩნია ასევე მეორე B გარემო 17 პერსონალური კომპიუტერით, რომელიც გამოიყენება „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

C გარემო - აუდიტორია №8 (ლაბორატორია) - საერთო ფართით 35 კვ.მ. განკუთვნილია 16 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა ზომის და ფერის), სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილი, ალკოჰოლომეტრული ცხრილი, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილი, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50.100,500მლ.), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორი (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურა, შტატივი, როდინი სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით და სხვა.

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტები.

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხით, <u>თუმცა დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო აფთიაქების ონლაინ ჩართვა და ექსპერტთა მიერ ვერ მოხერხდა პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი აფთიაქების ვიზუალური</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დათვალიერება, მათი გამტარუნარიანობის და იმ მატერიალური რესურსის შეფასება, რომელიც დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებებს და საჭიროა სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

დაწესებულებას კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“ და წარმოდგენილი აქვს - **გაუმჯობესების გეგმა** (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) **რომლის ამოცანის** მიხედვით (25.02.21- 25.06.21 პერიოდში) დაგეგმილია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდა, და მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პირველ თვეს პარტნიორ ორგანიზაციასთან სათანამშრომლო სტრატეგიის წარდგენას, მეორე თვეს დეტალების შეთანხმებას, მესამე თვეს ხელშეკრულების მომზადებას, მეოთხე თვეს გაფორმებული უნდა იყოს ხელშეკრულება ახალ პრაქტიკის ობიექტთან, აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის დირექტორი.

ვინაიდან დაწესებულებას ამ კომპონენტისთვის წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ასევე პრაქტიკის ობიექტებს აქვთ გაფორმებული ხელშკრულებები და ხელი აქვთ მოწერილი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფაზე ექსპერტებმა მივიჩნიეთ რომ კომპონენტი შეგვეფასებინა „მეტწილი შესაბამისობით“

დაწესებულების სურს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს 32 პროფესიული სტუდენტი ორ წელზე ორ ცვლაში (16+16).

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან ზოგადი მოდულებისთვის - 5 (ხუთი) და პროფესიული მოდულებისთვის 14 (თოთხმეტი). პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გარდა სალექციო დატვირთვისა გულისხმობს მოდულის შესაბამისი კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, კონსულტაციის ჩატარებას, პროფესიული სტუდენტების შეფასებას, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)'' განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაწილი ესწრებოდა დაწესებულების მიერ „უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრთან" ერთად ორგანიზებულ ტრენინგს - **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეთოდოლოგია/შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება".** დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა კოლეჯში ჩატარებული ტრენინგის მტკიცებულებები - დასწრების ფურცელი და სხდომის ოქმი.

პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით და მათთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია, რაც შეეხება შეფასების კომპეტენციას რეკომენდირებულია გაგრძელდეს ტრენინგების კურსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებისათვის;

დაწესებულებას კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით" და წარმოდგენილი აქვს **გაუმჯობესების გეგმა** (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) **ამოცანის** მიხედვით (25.02.21- 25.04.21 პერიოდში) იგეგმება პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის განმავითარებელი ტრენინგების/საინფორმაციო შეხვედრების, სიმულაციური მეცადინეობების ორგანიზება. მარტის პირველ ნახევარში მოწვეული გარე ტრენერის მიერ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდება განმავითარებელი ტრენინგი, მარტის მე-2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ნახევარში თემატური კონსულტაციები, აპრილის პირველი ნახევარი მოდულის თეორიული კომპონენტების სიმულაციური მეცადინეობის ორგანიზება და აპრილის მე-2 ნახევარი მოდულის პრაქტიკული კომპონენტების სიმულაციური მეცადინეობის ორგანიზება. აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, გამოყოფილია ფინანსური რესურსი 400-800 ლარი.
დაწესებულებას განვითარების გეგმის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმი **„უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრთან“** და გეგმავს ტრენინგების ციკლს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია „ფარმაცევტი“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია და აფთიაქში მუშაობის გამოცდილება, თუმცა მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა.
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია დირქტორის ბრძანებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არსებულ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში არსებობს მზაობა, რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია **„ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიით“** .

დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი როგორც შენობის მთავარ შესასვლელში, ისე კიბეებზე და სველი წერტილები.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს პროფესიული განათლების მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა ზოგად ხარჯს (ინვენტარის შეძენა/ გაუმჯობესების ხარჯი).

წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტურია, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ამოცანების ხარჯი, რაც მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას, კერძოდ, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის დამატება, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატება, პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარება.

<u>სასურველია დაწესებულებამ გადახედოს საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს და რეალურად შეაფასოს ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად განსაზღვროს რენტაბელობის ზღვარი.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
- კოლეჯი „არსის“ სსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგით;
- შპს „იბერიაფარმა+“ -თან, შპს „ემ ფარმა“-სთან და შპს „ფარმაცია“-სთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამის დანართი 1.3);
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმით პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალური რესურსის შესახებ (პროგრამის დანართი 1.4);
- მატერიალური რესურუს ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- 2021 წლის 24 თებერვლის ბრძ. № 1-11-ით „ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“.
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

➢ გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების დირექტორის მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის №1-47 ბრძანებით დამტკიცებულია **„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“**. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების საფუძვლის შექმნა და შეფასების შედეგების ანალიზის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასებას საფუძვლად უდევს შეფასების ობიექტურობა, შეფასების პროცესის გამჭვირვალობა, შეფასების შედეგების საჯაროობა, შეფასების დამოუკიდებლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის შესაბამისად: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.

დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, გამოკითხვების საფუძველზე, მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება და შეფასების შედეგებს წარუდგენს დირექტორს; შეფასების შედეგების, კოლეჯის დირექტორთან და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან განხილვის შემდეგ, გაიწერება რეკომენდაციები და მიიღება გადაწყვეტილებები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, რისთვისაც შემუშავებულია დამსაქმებლის კითხვარი.

დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები დაწესებულების მიერ სააფთიაქო ქსელების კვლევის შესახებ, ხარისხის მართვის მენეჯერის განცხადებით კვლევა ჩატარდა პირისპირ გამოკითხვით, გამოიკითხა სააფთიაქო ქსელი „იბერი+“, „ემ ფარმა“ და „იმპექსი“.

დაწესებულებას კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“ და წარმოდგენილი აქვს **გაუმჯობესების გეგმა** (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) **ამოცანის** მიხედვით (25.02.21- 25.06.21 პერიოდში) ხდება დაგეგმვა, დაწესებულება პირველ თვეს გაეცნობა პროგრამის სხვა განმახორციელებელი დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებებს, მეორე თვეს მოხდება მოძიება მეტი დაინტერესებული მხარის და მოხდება უკუკავშირი, მესამე თვეს მოხდება ცვლილება - დაქვემდებარებული კომპონენტების იდენტიფიცირება და გაიწერება ცვლილებებისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორები, მეოთხე თვეს მიღებული უნდა იქნას პროგრამის გაუმჯობესების ახალი მექანიზმი, აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულების დოკუმენტში **„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“** (პ.6) გაწერილია **„პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“**, რომლის თანახმად დაწესებულებას დამოუკიდებლად ცვლილების შეტანა შეუძლია მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის დამხმარე ჩანაწერებში. სხვა შემთხვევებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ხასიათის ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებას, უნდა მოხდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადების ინიცირების საფუძველზე, ცვლილებები ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებით“ (ბრძ. №1-47, 04.10.2019);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით; (დამტკ.ბრძ. №1-08; 18.02.2021წ.)
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის დასკვნით სააფთიაქო ქსელების შრომის ბაზრის კვლევის შესახებ (22.05.2020);
- 2021 წლის 24 თებერვლის ბრძ. № 1-11-ით „ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“.
- გასაუბრებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანა-განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და ასახულია მოდულების თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასების ვადები. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. რის მაგალითადაც შეიძლება განიხილოს დისტანციური სწავლების დაგეგმვა და სასწავლო გეგმების ცვლილება დისტანციურ სწავლებასთან მოსარგებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტები დაინტერესდნენ, პანდემიის პირობებში როგორ აკმაყოფილებენ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო რესურსით, დირექტორმა განმარტა, რომ შექმნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფები სპეციალობების მიხედვით და პროფესიული განათლების მასწავლებლები აწვდიან ლიტერატურას ელექტრონული სახით.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. თვითშეფასების წარმოდგენილ ანგარიშში არის ჩანაწერი - „მოდულებით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები მთლიანად ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ასევე კოლეჯის შინაგანაწესში შევიდა ცვლილება - პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე საჭიროების შემთხვევაში „ონლაინ-სწავლების დანერგვა-გამოყენების შესახებ“.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულებას დოკუმენტში **„კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარი“** XVI პუნქტით გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება მაშინ როცა:

ა) სსსმ პირის მიერ ვერ ხერხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა;

ბ) მობილობით გადმოსული პირის მიერ ათვისებული სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან; ამ შემთხვევაში **პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერის, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის** და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გ) როდესაც პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. ამ შემთხვევაში <u>პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი</u> ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით;

დაწესებულების დოკუმენტში სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებები არის შეუსაბამო, კერძოდ - <u>„კოლეჯი "არსის" სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარში„</u> XVI პუნქტით გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელშიც გამოყენებულია სტრუქტურული ერთეულებისათვის დასახელებები <u>„პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი"</u> და <u>„სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი"</u> რომელიც შეუსაბამოა დაწესებულების სტრუქტურით და წესდებით გაწერილ სტრუქტურულ ერთეულებთან <u>-„ხარისხის მართვის მენეჯერი"</u> და <u>„სასწავლო პროცესის მენეჯერი".</u> რეკომენდირებულია დაწესებულებამ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები აფთიაქებთან: შპს „ემ ფარმა", შპს „იბერიფარმა+" და შპს „ფარმაცევტი".

პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დათარიღებულია, თუმცა არა აქვს მინიჭებული ნომერი, მიზანშეწონილია დაწესებულებამ ხელშეკრულებები დანომროს თარიღის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კერძოდ C გარემოში დამონტაჟებულია სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, რომელიც ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების მანიშნებელი და უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები.

<u>**დაწესებულებას ლაბორატორიაში არა აქვს განთავსებული ცეცხლმაქრი, რეკომენდებულია დაწესებულებამ უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე ლაბორატორიაში განათავსოს ცეცხლმაქრი.**</u>

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე ლაბორანტი, რომელიც აწარმოებს სტუდენტთა ქცევის ზედამხედველობას ლაბორატორიაში, მათი სათანადო უსაფრთხოდ მუშაობის წესის დაცვით შემოსვლას/აღჭურვისა და უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს: ა) ლაბორატორიაში მუშაობის წესები და ბ) ნარჩენების უტილიზაციის წესები.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ) შპს „ეკომედთან“, რომელიც უზრუნველყოფს - არასარისკო და სარისკო (გარდა რადიაციული) ნარჩენების სეპარირებულ და მარკირებულ მდგომარეობაში სახიფათო ნარჩენების გატანას. ხელშკრულება დადებულია 2020 წლის 16 ნოემბერს უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა **„სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის“** ორი განსხვავებული შინაარსის დანართი, ერთი თვითონ დოკუმენტის VII თავში გაწერილი **<u>დანართი 1- „ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და უტილიზაციის წესები კოლეჯ „არსში““</u>** და მეორე ცალკე დოკუმენტად - **<u>„კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესის დანართი 1- „კოლეჯი „არსის“ ლაბორატორიაში მუშაობის წესი/ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში“</u>** . ეს ორი დოკუმენტი აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეუძლებელია იყოს ერთი დოკუმენტის დანართი.

<u>რეკომენდებულია ეს ორი დანართი დაწესებულებამ მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.</u>

არსებობს შპს „არსი“-ს კუთვნილი ფართის მდგრადობის და უსაფრთხოების შესახებ დასკვნა - რომელიც გაცემულია აკრედიტებული ორგანიზაციის „მშენ-ექსპერტი“ მიერ. (შემოწმების თარიღი- 29.02.2020).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარით“ (დამტკ. ბრძ.№1-09; 19.02.21წ)
- საგანმანათლებლო პროგრამით;
- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“
- შპს კოლეჯ „არსში“ სასწავლო და სამუშაო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესის დადგენის შესახებ (ბრძ. № 1-41, 20.08.2019)
- შპს კოლეჯი „არსი“-ს ლაბორატორიაში მუშაობის წესი/ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში;
- ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ხელშეკრულებით შპს „ეკომედთან“, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ
- დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დოკუმენტის **„ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების წესი; ასევე შეფასების შედეგებზე პროფესიულ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების და შენახვის წესები</u>“ პ.2. თანახმად კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო გეგმით გათვლისწინებული შეფასების დადგომამდე 2 კვირით ადრე გამოითხოვს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს და მოწმდება სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელის ან/და დარგის სხვა წარმომადგენლის/პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით. სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ პარალელურად ივსება ვალიდაციის ფურცელი, რომელიც შემუშავებულია დაწესებულების მიერ.

დაწესებულებას დოკუმენტის <u>„კოლეჯი „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარი“</u> VIII პუნქტით გაწერილი აქვს შეფასების წესი, რომელიც მოიაზრებს დაუდასტურებელი შედეგის ერთხელ გადაბარების (ქვ.პ. 10) და აპელაციის უფლებას, რომლის თანახმად აპელაციის შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/არ განხილვის თაობაზე. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი, ასევე მინიმუმ ერთი კონკრეტული პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი. კომისია 2 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების საკითხს და მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს.

დოკუმენტში <u>„კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის“</u> (მე-13 ქვ.პ) აპელაციის პროცედურებში ვხვდებით ჩანაწერს <u>„დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე“,</u> რითაც დაწესებულება წინააღმდეგობაში მოდის თავისივე რეგულაციასთან, ამავე წესის IX პუნქტის 2 ქვეპუნქტით გაწერილია, რომ <u>„სასწავლო დავალიანება“ არის სტატუსის შეჩერების საფუძველი“,</u> ხოლო X პუნქტის პირველი ქვეპუნქტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტატუსის შეწყვეტის საფუძველია - **„სტატუსის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდეგ სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოუფხვრელობა“.**

რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს აღნიშნულ ჩანაწერს, ვინაიდან ერთი ან რამოდენიმე მოდულის დაუდასტურებლობა (სხვა მოდულის წინაპირობაც რომ იყოს და იწვევდეს სწავლების გაგრძელების შეუძლებლობას) ვერ გახდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, თუ არ იქნება პროფესიული სტუდენტის განცხადებით მოთხოვნილი, დაწესებულებას უფლება აქვს შეუჩეროს სტატუსი აღნიშნულ პროგრამაზე ან/და პროფესიული სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს ცნობა გავლილი მოდულების შესახებ.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების დოკუმენტის **„ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების წესი; ასევე შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების მტიცებულებების მოპოვების, გადაბარების და შენახვის წესები“** პ.3. თანახმად ვერიფიკაცია ტარდება ყოველ კვარტალში ვერიფიკაციის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა კოლეჯის მიერ ხორციელდება შემდეგი რისკების გათვალისწინებით: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მომართვიანობა, სანდო/გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით), ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა გარემოებები.

რისკ-ფაქტორების გამოკვეთის შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი ამოწმებს შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კონკრეტულ ჯგუფ(ებ)ში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებს როგორც მიზანმიმართულად, ისე შემთხვევითი შერჩევის წესით. პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებელია შემოწმდეს მთელი ჯგუფის შეფასების ინსტრუმენტი. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ადგენს შესაბამის დასკვნას და ოქმს. რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში დგინდება კონკრეტული ვადა რეკომენდაციების შესასრულებლად, რისი შესრულების შესახებაც რეკომენდატორი ახდენს ანგარიშგებას ხარისხს მართვის მენეჯერის წინაშე.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების დოკუმენტის **„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“** მე-5 პუქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად მტკიბეულებები უნდა იქნას დაცული და ინახებოდეს 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად, **ასევე „კოლეჯი “არსის” სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/სტუდენტთა ცნობარის“** VI თავის, ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულია **„სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი“**, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი (ტესტები, პროექტები, დაკვირვების ფორმები და სხვა) წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და შექმნიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით, უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი დასხვა) რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის; პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოსახულების სახით, რაც ინახება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, შემდეგ ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებას დოკუმენტით **„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“** გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი უკუკავშირი განხორციელებული კონკრეტული მოდულის ფარგლებში, რომელიც ფასდება შემუშავებული კითხვარებით.

დაწესებულების დოკუმენტით **„ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების წესი; ასევე შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების მტიცებულებების მოპოვების, გადაბარების და შენახვის წესები“** პ.4 გათვალისწინებულია სტუდენტთა შედეგების შეფასების უკუკავშირის პროცედურა, „შეფასების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შედეგების გაცნობა სასწავლო პროცესის მენეჯერთან ან პროფესიული განათლების მასწავლებელთან; პროფესიული სტუდენტი შეფასების შედეგის გაცნობას ადასტურებს შეფასების მტიკებულებაზე ხელმოწერით.

ამავე წეისის პ.6 გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ „კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯი "არსის" სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/სტუდენტის ცნობარით. ბრძ. №1 – 1-37, 20.07.2020;
- „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესით; (დამტკ.ბრძ. №1-08; 18.02.2021წ.)
- „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის განხორციელების წესი; ასევე შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, შეფასების მტიცებულებების მოპოვების, გადაბარების და შენახვის წესები; (ბრძ. №1-60;2/2020)"
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება□

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26.04.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: